წინამდებარე ზოგადი წესები და პირობები ვრცელდება ყველა კამპანიაზე, პროექტსა და/ან შეთავაზებაზე, რომელიც ორგანიზებულია Bolt-ის მიერ და განკუთვნილია მძღოლებისთვის დამატებითი სარგებლის მისანიჭებლად. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ საკითხებს, როგორებიცაა:

- როგორ დააკმაყოფილებთ კამპანიის/შეთავაზების პირობებს;
- როგორ მოგცემთ Bolt წვდომას არსებულ დამატებით სარგებელზე;
- როგორ შეუძლია Bolt-ს შეწყვიტოს ან გააუქმოს კამპანია/შეთავაზება;
- როდის შეუძლია Bolt-ს უარი თქვას თქვენთვის კამპანიის/შეთავაზების დამატებითი სარგებლის გაცემაზე.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ყველა განსაზღვრულ ტერმინს იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც განმარტებულია დოკუმენტში ზოგადი **პირობები მძღოლებისთვის**.

1. როდის მოქმედებს მოცემული კამპანიის ზოგადი წესები?

- წინამდებარე წესები მოქმედებს ყოველთვის, როცა Bolt-ის მიერ დაორგანიზებულ შეთავაზებაში/კამპანიაში ერთვებით. თქვენი მონაწილეობით თქვენ ადასტურებთ, რომ იცნობთ წინამდებარე პირობებს, აცნობიერებთ მათ, არც ერთი პუნქტი თქვენთვის არაა ბუნდოვანი და/ან გაუგებარი და სრულად ეთანხმებით მათ (პირობებს);
- აღნიშული წესები შესაძლოა გამოგეგზავნოთ ელ.ფოსტით, Bolt Driver მძღოლის აპლიკაციაში ან სხვა გზით, რომელსაც Bolt მიიჩნევს რელევანტურად, კამპანიის/შეთავაზების სპეციფიკურ პირობებთან ერთად.
- იმისათვის, რომ დააკმაყოფილოთ კამპანიის/შეთავაზების პირობები, საჭიროა აკმაყოფილებდეთ ყველა სპეციფიკურ კრიტერიუმს, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული კამპანიის/შეთავაზების ფარგლებში და დაცული იყოს, როგორც კამპანიის ზოგადი წესები, ისევე მძღოლის წესები და პირობები.

2. როგორ შეუძლია Bolt-ს შეწყვიტოს ან გააუქმოს კამპანია/შეთავაზება?

- Bolt-მა შესაძლოა შეაჩეროს კამპანია/შეთავაზება შემდგომ შეტყობინებამდე ან შეწყვიტოს იგი ნებისმიერ დროს, თუ თქვენ (მძღოლი) ვერ დააკმაყოფილებთ ყველა პირობას, რომლებიც გათვალისწინებული იყო კონკრეტული კამპანიის/შეთავაზების ფარგლებში;
- ამასთან, კამპანიის/შეთავაზების შეჩერება ან გაუქმება გეცნობათ ელ.ფოსტის საშუალებით, Bolt Driver მძღოლის აპლიკაციით, ან სხვა გზით, რომელიც Bolt-მა ჩათვალა რელევანტურად.

3. საეჭვო ქმედება და სხვა დარღვევები

- Bolt-მა შესაძლოა შეაჩეროს თქვენთვის კამპანიის/შეთავაზების დამატებითი სარგებლის გაცემა სავარაუდო საეჭვო ქმედების და/ან დარღვევის და/ან უნებართვო და/ან უკანონო ქმედების გამოძიების მიზნით.
- Bolt-მა შესაძლოა გაფრთხილების გარეშე გააუქმოს მთლიანი კამპანია/შეთავაზება ან შეგიზღუდოთ მონაწილეობა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან პოტენციური საეჭვო ქმედება და/ან დარღვევა დაფიქსირდება.
- საეჭვო ქმედება: Bolt-ის პლატფორმაზე, Bolt პლატფორმის მომხმარებლების ან სხვა მესამე პირის მიმართ (მაგ. საგადახდო სერვისის პროვაიდერები, ბარათის გამცემი და ა.შ) საეჭვო ქმედების ნებისმიერი მცდელობა. ამაში შესაძლოა იგულისხმებოდეს ყალბი მგზავრობები; გადახდის მეთოდის არაავტორიზებული გამოყენება; წინასწარ დაგეგმილი მგზავრობები, ფასის მანიპულაციები და ა.შ.
- დარღვევები: ნებისმიერი არასათანადო ზემოქმედება Bolt-ის პლატფორმის მიმართ. სხვა ქმედებებს შორის, მასში იგულისხმება საკუთარი თავის გამოძახება, რამდენიმე წარმატებული მგზავრობა ერთსა და იმავე მგზავრთან (მოწყობილობა ან გადახდის მეთოდი), პრომო კოდების გადაჭარბებული გამოყენება, საეჭვო მგზავრობები (მაგ. ისეთი მგზავრობების სიმრავლე, რომლებიც იწყება მუდამ ერთი ლოკაციიდან ან უჩვეულოდ გრძელი ან მოკლე მანძილის/დროის მქონე მგზავრობები; ჭარბი რაოდენობა მგზავრობებისა,

რომლის დროსაც ფიქსირდება ბარათით გადახდის პრობლემა (უკან დაბრუნებული თანხა, წარუმატებელი გადახდა და ა.შ.)

4. კამპანიის/შეთავაზების დამატებითი სარგებელი

- Bolt კამპანიის/შეთავაზების დამატებით სარგებელს თქვენთვის ხელმისაწვდომს გახდის Bolt საკომისიოს ფასდაკლების სახით, თუ კონკრეტული სარეკლამო კამპანიის/შემოთავაზების პირობები სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.
- Bolt-ის საკომისიოს ფასდაკლებისას - იგი გამოყენებული იქნება Bolt საკომისიოს შემდეგი გადახდისთვის, მოქმედი საანგარიშო პერიოდისთვის დაუყოვნებლივ, კამპანიის/შეთავაზების ვადის დასრულების და/ან თქვენ მიერ კამპანიის/შეთავაზების პირობების დაკმაყოფილების და/ან კამპანიის/შემოთავაზების კონკრეტულ პირობებში განსაზღვრული სხვა დადგენილი პერიოდის შემდეგ.
- აუცილებელია გქონდეთ აქტიური Bolt მძღოლის ანგარიში ვალიდური საბანკო დეტალებით, რომ მიიღოთ Bolt-ის კამპანიის/შეთავაზების დამატებითი სარგებელი.
- ყველა კამპანიის/შეთავაზების დამატებითი სარგებელი ხელმისაწვდომია თითოეული მძღოლისთვის ერთჯერადად, თუ რაიმე სხვა სპეციფიკური გარემოებები არ არის დართული და/ან დადგენილი კომპანიის მიერ.

5. ცვლილებები კამპანიის ზოგად წესებში

- ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, Bolt-ს შეუძლია შეცვალოს წინამდებარე კამპანიის ზოგადი პირობები. არავის, მათ შორის არც ერთ მძღოლს არ აქვს უფლება შეუზღუდოს და/ან აუკრძალოს მსგავსი ცვლილების განხორციელება კომპანიას;
- ნებისმიერი მსგავსი ცვლილება კამპანიის ზოგად წესებში მყისიერად ამოქმედდება იმ კამპანიის/შეთავაზების ფარგლებში, რომელშიც ჩაერთვებით.
- ნებისმიერ მსგავსი ცვლილება კამპანიის ზოგად წესებში არ იმოქმედებს არც ერთ მიმდინარე კამპანიაზე/შეთავაზებაზე, რომელშიც ჩაერთეთ წესებში ცვლილების შეტანამდე.

6. სხვა მნიშვნელოვანი წესები და პირობები

- ჩვენი ურთიერთობის ყველა სხვა ასპექტი, რომელიც გამომდინარეობს Bolt-ის კამპანიებიდან/შეთავაზებებიდან, რეგულირდება მძღოლის/ავტოპარკის მოქმედი წესებით და პირობებით.
- მძღოლის წესებსა და პირობებსა და წინამდებარე კამპანიის პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში - უპირატესობა მიენიჭება მოცემულ/წინამდებარე წესებს.
- წინამდებარე კამპანიის წესებსა და კონკრეტული კამპანიის/შეთავაზების პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ უკანასკნელს.